ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-15. 15233536**

თარიღი:**19/12/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, რურუას ქ.N1-ის და N1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 14 დეკემბრის N7436/02 წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შემდეგი უძრავი ქონება:
1.1. ქალაქ ბათუმში, რურუას ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული 334,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N05.25.10.075);
1.2. ქალაქ ბათუმში, რურუას ქუჩა N1ა-ს მიმდებარედ არსებული 637,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N05.25.10.068).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთების (ს/კ 05.25.10.075 და ს/კ 05.25.10.068) „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შპს ,,ტექტო ფრანკო 1“-სათვის (ს/N 445571257) პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, რომ შესაბამისი გარიგების (ხელშეკრულების) გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ N008908523 და N008908823 დასკვნების თანახმად, მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება - 637,0კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.25.10.068) 400 359 (ოთხასი ათას სამას ორმოცდაცხრამეტი) ლარი და 334,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.25.10.075) 209 922 (ორას ცხრა ათას ცხრაას ოცდაორი) ლარი, სულ 610 281 (ექვსას ათი ათას ორას ოთხმოცდაერთი) ლარი შპს ,,ტექტო ფრანკო 1“-ის მიერ ჩაირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ასევე, კომპანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 841,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.25.10.074) განახორციელებს მოსასვენებელი სივრცის (სკვერის) მოწყობას.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.25.10.075 და ს/კ 05.25.10.068) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მათი შპს ,,ტექტო ფრანკო 1“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა და მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულების შპს ,,ტექტო ფრანკო 1“-ის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხვა, ასევე, თუ არ განხორციელდება შპს ,,ტექტო ფრანკო 1“-ის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.25.10.074) სკვერის მოწყობა.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს უძრავი ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია და განკარგულებით განსაზღვრული სხვა ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი